სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:
აკადემიური საბჭოს #05-25 საოქმო გადაწყვეტილებით; 23.10.2025

კვლევის ეთიკის დებულება

თბილისი
2025

სარჩევი

1. ზოგადი დებულებები 3
2. საბჭოს შექმნა და საქმიანობის სფერო 3
3. საბჭოს მუშაობის წესი 4
4. სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა საბჭოში 5
5. სამეცნიერო კვლევითი პროექტის განხილვა და საბჭოს დასკვნა (გადაწყვეტილება) 7
6. სამეცნიერო კვლევის მიმდინარეობაზე მონიტორინგი და მკვლევრის ვალდებულება 9
7. პასუხისმგებლობა დებულების დარღვევისათვის 9

1. ზოგადი დებულებები

1. შპს „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ სამეცნიერო კვლევის ეთიკის საბჭო (შემდგომში - „საბჭო“) დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც განიხილავს კვლევის მეთოდებისა და პროცედურების შესაბამისობას ეთიკური კვლევის პრინციპებთან, რისკისა და სარგებლის ანალიზის გზით ადგენს კვლევის ჩატარების მიზანშეწონილობას.
2. საბჭოს მიზანია კვლევის მონაწილეთა უფლებებისა და ღირსების დაცვის ხელშეწყობა კვლევის პროცესში შესაძლო პრობლემების ეთიკური ასპექტების გამოვლენისა და ანალიზის, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადების ან კვლევის განხორციელებაზე უარის თქმის გზით.
3. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის ბაზაზე კვლევის ეთიკის საბჭოს შექმნისა და ფუნქციონირების წესს, არეგულირებს კვლევითი საქმიანობის ეთიკურ ასპექტებს.
4. საბჭოს მიერ დადგენილი კვლევის წესები და პროცედურები ეფუძნება ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, ევროპის საბჭოს „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციასა“ და მის დამატებით ოქმებს, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს დებულებას, ასევე ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის (APA) მიერ დადგენილ წესებს ადამიანებზე ჩატარებული კვლევის ეთიკის შესახებ.
5. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი კვლევითი პროექტი მოიცავს ადამიანის ან ცხოველის მონაწილეობით მიღებულ შედეგებს, ავტორები ვალდებულნი არიან მიუთითონ, რომ მათ მიერ გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისოდ აღიარებული ეთიკური სტანდარტები და გაიდლაინები, როგორებიცაა „ჰელსინკის დეკლარაცია“ კლინიკური კვლევებისთვის ან საგანმანათლებლო კვლევისთვის გათვალისწინებული AERA-ს (American Educational Research Association) და BERA-ს (British Educational Research Association) ეთიკური პრინციპები.

2. საბჭოს შექმნა და საქმიანობის სფერო

1. საბჭო იქმნება უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მიერ დაგეგმილი ან მათი ჩართულობით/ზედამხედველობით განსახორციელებელი კვლევების ეთიკური ასპექტების შეფასების მიზნით. საბჭოს, შესაბამისი დასკვნის გაცემის მოთხოვნით, შესაძლოა, მიმართოს გარეშე პირმაც, რა შემთხვევაშიც საბჭო დებულებით გათვალისწინებულ საქმიანობას განახორციელებს ანაზღაურების სანაცვლოდ, რომლის ოდენობაც განისაზღვრება რექტორის აქტით.
2. საბჭო განიხილავს კვლევით პროექტს და ადგენს ადამიანის ან/და ცხოველის

მონაწილეობით ჩასატარებელი კვლევის ეთიკურ პრინციპებთან შესაბამისობას. ადამიანთა მონაწილეობა შეიძლება გულისხმობდეს მათთან უშუალო კონტაქტს ან მათზე მონაცემების მიღებასა და დამუშავებას, მათ შორის პერსონალური მონაცემების გამოყენებას ინდივიდის შესახებ.

3. საბჭოში შეიძლება შედიოდნენ ავტორიზებული უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი, რომელთაც აქვთ ადამიანის ან/და ცხოველის მონაწილეობით კვლევის ჩატარების გამოცდილება, ასევე ეთიკის/ბიოეთიკის სპეციალისტები, ლიცენზირებული ექიმები, ფსიქოთერაპევტები და შესაბამისი დარგის პრაქტიკოსები.

4. საბჭო განიხილავს განაცხადებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში ითხოვს პერიოდული პროგრესის ანგარიშებს სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი პერსონალისაგან.

5. საბჭო შედგება ხმის უფლების მქონე არანაკლებ 7 წევრისგან, რომელთაც აკადემიური საბჭო ამტკიცებს რექტორის წარდგინებით ფაკულტეტებთან კონსულტაციის საფუძველზე, 3 წლის ვადით. ამავე გადაწყვეტილებით, რექტორის წარდგინების საფუძველზე, აკადემიური საბჭო ნიშნავს კვლევის ეთიკის საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

6. საბჭოს წევრთა რაოდენობის შვიდზე ნაკლებამდე შემცირების შემთხვევაში, აკადემიური საბჭო, იმავე პროცედურის დაცვით, დარჩენილი უფლებამოსილების ვადით ამტკიცებს ახალ წევრს (წევრებს).

7. საბჭოს შეუძლია კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ერთჯერადად მოიწვიოს დარგის ექსპერტები ან/და საზოგადოების წარმომადგენლები. მოწვეული პირები საბჭოს სხდომებში მონაწილეობას მიიღებენ ხმის მიცემის უფლებით ან მის გარეშე.

3. საბჭოს მუშაობის წესი

1. საბჭო სხდომებს მართავს კვლევის ეთიკურობის თაობაზე განცხადების წარდგენის შემთხვევაში. ხოლო სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, საჭიროებისას საბჭო მოიწვევა თავმჯდომარის ინიციატივით.

2. საბჭოს სხდომა დახურულია, თუ განსახილველი საკითხები, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეხება პერსონალური ინფორმაციის, კომერციული საიდუმლოების ან სხვა ისეთი ინფორმაციის შემცველ საკითხებს, რისი საჯაროდ განხილვაც დაშვებული არ არის კანონის ან ლეგიტიმური ინტერესის საფუძველზე.

3. პირველივე სხდომაზე საბჭოს წევრები ირჩევენ საბჭოს მდივანს, რომელიც აწარმოებს საბჭოს ოქმებს და პასუხისმგებელია საბჭოს დოკუმენტაციის კონტროლსა და უსაფრთხო

შენახვაზე.

4. საბჭო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება წევრთა შემადგენლობის არანაკლებ 2/3. სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - ხმათა უმრავლესობით აირჩევა სხდომის თავმჯდომარე.

5. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

6. საბჭოს მუშაობის ის პროცედურები (სამუშაო რეგლამენტი), რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ საბჭოს მიერ წერილობითი გადაწყვეტილების სახით.

7. საბჭოს საქმიანობა აისახება სხდომის ოქმებში. საბჭოს მდივანი ადგენს სხდომის ოქმს, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) საბჭოს სხდომის თარიღი;

ბ) სხდომის მონაწილეთა ჩამონათვალი;

გ) სხდომის დღის წესრიგი;

დ) საბჭოს დასკვნა (გადაწყვეტილება) თითოეული განხილული საკითხის შესახებ;

ე) თითოეულ მიღებულ გადაწყვეტილებაზე წევრთა ხმების რაოდენობა;

ვ) თანმხლები დოკუმენტების ნუსხა (დანართები).

8. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი.

9. სხდომებზე საბჭოს წევრები განიხილავენ სამეცნიერო-კვლევით პროექტს და იღებენ გადაწყვეტილებას მის ეთიკურ პრინციპებთან შესაბამისობის თაობაზე.

10. საბჭომ შეიძლება განიხილოს წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევა სრულად - იმ შემთხვევაში, თუ კვლევითი პროექტი პირველადაა წარმოდგენილი; ნაწილობრივ, თუ კვლევას ახალი ამოცანები დაემატა, გაფართოვდა; ან გაათავისუფლოს განხილვისგან, თუ კვლევით პროექტს უკვე მიღებული აქვს კვლევის ეთიკის საბჭოს თანხმობა, პროექტი მისი გაგრძელებაა და მასში არ განხორციელებულა ცვლილებები.

11. კვლევითი პროექტის ეთიკურ პრინციპებთან თავსებადობის შესაფასებლად მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საბჭოს სხდომის ოქმები, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლის უსაფრთხოდ შენახვის ვალდებულება ეკისრება საბჭოს მდივანს საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის „საქმისწარმოების“ წესის შესაბამისად.

4. სამეცნიერო კვლევითი პროექტის წარდგენა საბჭოში

1. კვლევის ეთიკურობის შემოწმების მიზნით დაინტერესებული პირის (მკვლევრის) მიერ

განცხადება იწერება საბჭოს თავმჯდომარის სახელზე და იგზავნება შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: REC@sabauni.edu.ge.

2. განმცხადებელი ვალდებულია წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

2.1. განცხადება კვლევითი პროექტის ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მოთხოვნის შესახებ;

2.2. კვლევითი პროექტი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

2.3. მთავარი მკვლევრისა და კვლევაში მონაწილე სხვა პასუხისმგებელ პირთა სახელები, კვალიფიკაცია და პოზიცია;

2.4. კვლევის მიზანი და კვლევის საჭიროების დასაბუთება დაფუძნებული უახლეს მეცნიერულ ცოდნაზე;

2.5. კვლევის მეთოდები და პროცედურები (მათ შორის, კვლევის პროექტში მონაწილეთა ჩართვის თუ გამორიცხვის კრიტერიუმები, აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ადამიანების შერჩევა და მოწვევა);

2.6. კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებით მოსალოდნელი რისკების დახასიათება და აღწერა;

2.7. კვლევით გათვალისწინებული პროცედურების ხასიათი, მასშტაბი და ხანგრძლივობა, აგრეთვე ინფორმაცია ნებისმიერი შესაძლო და წინასწარგანჭვრეტადი რისკისა და გამოწვევის შესახებ;

2.8. ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, რომლებიც სუბიექტთა უფლებების დაცვას, პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობასა და რისკების დაზღვევა/შემცირებას უზრუნველყოფს;

2.9. ყველა სხვა საკითხი, რომელიც მკვლევრის მიერ აღიქმება, როგორც ეთიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი;

2.10. ინფორმირებული თანხმობის ფორმა და ინსტრუქციები კვლევაში მონაწილე ინდივიდებისთვის/კანონიერი წარმომადგენლებისთვის, მათი ინფორმირების დროისა და მეთოდის შესახებ ინფორმაცია;

2.11. დეტალური ინფორმაცია ყველა სახის ანაზღაურების თუ წახალისების თაობაზე, რომელიც გათვალისწინებულია/იგეგმება კვლევაში მონაწილე პირთათვის;

2.12. ინტერესთა კონფლიქტის გამომწვევი ყველა გარემოება, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მკვლევართა დამოუკიდებლობაზე.

3. კვლევის ეთიკის საბჭომ შეიძლება მოითხოვოს ნებისმიერი სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც კვლევის პროექტის ეთიკური შეფასებისთვის მიიჩნევს მნიშვნელოვნად.

5. სამეცნიერო კვლევითი პროექტის განხილვა და საბჭოს დასკვნა (გადაწყვეტილება)

1. საბჭოში განმცხადებლის მიერ სრულყოფილად წარმოდგენილ დოკუმენტაციას მდივანი საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით უგზავნის საბჭოს ყველა წევრს ელექტრონული ფოსტით.

2. საბჭოს სხდომა თავმჯდომარის მიერ უნდა ჩაინიშნოს განაცხადის დარეგისტრირებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო თუ წარდგენილი დოკუმენტაცია ვრცელია ან განსაკუთრებულ სიახლეს შეიცავს, რაც ართულებს პროექტის გაცნობას/შესწავლას, სხდომა შეიძლება ჩაინიშნოს 15 კალენდარული დღის ფარგლებში. სხდომების განრიგი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და საბჭოს წევრებს საკმარისი დრო უნდა ჰქონდეთ სხდომამდე დოკუმენტების გასაცნობად.

3. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, ინტერესთა კონფლიქტის მქონე საბჭოს წევრი ვალდებულია განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და დააყენოს თვითაცილება. აცილების დაყენების უფლება აქვს როგორც საბჭოს სხვა წევრებს, ასევე განმცხადებელს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს, რაზეც საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას შეკრებისთანავე, განხილვის დაწყებამდე.

4. საბჭოს წევრები დოკუმენტების საფუძველზე აანალიზებენ კვლევით პროექტს სხდომაზე განხილვის მიზნით. კვლევის შინაარსიდან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარე განსაზღვრავს ექსპერტის მოწვევის საჭიროებას, რასაც უთანხმებს საბჭოს.

5. კვლევის ეთიკის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ექსპერტის მოწვევის საჭიროებისა და მისი კანდიდატურის შერჩევის ან/და დადასტურების შესახებ.

6. საბჭოს მდივანი კვლევით პროექტს და სხვა საჭირო დოკუმენტაციას გადასცემს შერჩეულ ექსპერტს და მოიწვევს მას სხდომაზე. საბჭოს მიერ მოწვეული ექსპერტი განიხილავს მისთვის გადაცემულ დოკუმენტაციას და ამზადებს საკუთარ დასკვნას საბჭოს სხდომაზე წარსადგენად. მოწვეული ექსპერტი საბჭოს სხდომაში მუშაობას იღებს ხმის უფლებით ან მის გარეშე.

7. საბჭო განიხილავს კვლევით პროექტს, აფასებს მის ეთიკურ ასპექტებს და განსაზღვრავს რამდენად დასაშვებია კვლევის ჩატარება ეთიკური თვალსაზრისით.

8. საბჭოს წევრებმა უნდა შეაფასონ:

ა) კვლევის საჭიროება, კვლევის მიზნების შესაბამისობა კვლევის გეგმასა და შესაგროვებელ ინფორმაციასთან, ასევე ადამიანის მონაწილეობის აუცილებლობა;

ბ) მკვლევრისა და მისი გუნდის კვალიფიკაცია და გამოცდილება მოცემული კვლევის ჩასატარებლად;

გ) კვლევის რისკი და მოსალოდნელი სარგებელი - რამდენად მისაღებია არსებული რისკის პირობებში კვლევის ჩატარება დასახული მიზნების მისაღწევად;

დ) კვლევის სუბიექტისთვის ჯანმრთელობის საფრთხის შექმნის ალბათობა კვლევის

პროცესში;

ე) ინფორმირებული თანხმობის მიღების პროცედურა (გარანტირებულია თუ არა კვლევის სუბიექტისათვის გასაგები ენით ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდება);

ვ) გამორიცხულია თუ არა ზეწოლა (ფინანსური ზეწოლის ჩათვლით) კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობის მიღების მიზნით;

ზ) კვლევაში მონაწილე პირების შერჩევის წესი (გამორიცხულია თუ არა დისკრიმინაცია);

თ) რამდენად ადეკვატურია კვლევითი პროექტით გათვალისწინებული გარანტიები კვლევის სუბიექტების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის თაობაზე.

8. საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს შემდეგი:

ა) დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევა დამტკიცდეს ცვლილების გარეშე (თანხმობა);

ბ) დაგეგმილი სამეცნიერო კვლევა დამტკიცდეს დათქმით (პირობითი თანხმობა), შესწორებებით, რაც მკვლევარს აძლევს კვლევის დაწყების უფლებას, მხოლოდ გეგმაში საბჭოს მიერ რეკომენდებული კონკრეტული ცვლილებების შეტანის და/ან მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაციის წარდგენის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილ ცვლილებებს აფასებს საბჭოს თავმჯდომარე ან მის მიერ სხდომაზე დასახელებული საბჭოს წევრი, რის საფუძველზეც საბჭოს თავმჯდომარე გასცემს თანხმობას ან უარს კვლევის ჩატარებაზე;

გ) დაგეგმილ სამეცნიერო კვლევაზე უარი გადამუშავების უფლების მიცემით (უარი გადამუშავების უფლებით), რაც გულისხმობს, რომ მოცემული კვლევითი პროექტი საჭიროებს მნიშვნელოვან გადამუშავებას, რომლის შემდეგ ის შეიძლება წარდგენილ იქნეს ხელახლა (მომდევნო სხდომა ჩაინიშნება იმავე პროცედურების დაცვით);

დ) დაგეგმილ სამეცნიერო კვლევაზე უარი (უარი), რაც გულისხმობს, რომ მოცემული კვლევა არ უნდა ჩატარდეს.

შენიშვნა: საბჭოს დასკვნა შესაძლოა შეიცავდეს არასავალდებულო რეკომენდაციებს.

9. გადაწყვეტილება შეიძლება შეიცავდეს მოთხოვნას:

ა) საბჭოსადმი კვლევის მიმდინარე ანგარიშის ან ანგარიშების წარდგენის ვალდებულების შესახებ;

ბ) კვლევითი პროექტის განმეორებით შეფასების საჭიროების შესახებ, როცა კვლევის ხანგრძლივობის (რამდენიმე წელი) და/ან მაღალი რისკის ან სხვა გარემოებების გამო აუცილებელია დამატებითი ზომების მიღება და გადაწყვეტილების გადახედვა.

10. საბჭოს მიერ დასკვნა კვლევითი პროექტის ეთიკური შეფასების შესახებ გაიცემა საბჭოსადმი კვლევის დოკუმენტაციის სრულად გადაცემის დღიდან არაუგვიანეს 40 დღისა.

11. საბჭოს დასკვნა წარმოდგენილია საბჭოს ოქმში. მთავარ მკვლევარს ან მის წარმომადგენელს, მოთხოვნისამებრ, ეძლევა ამონაწერი ოქმიდან.

6. სამეცნიერო კვლევის მიმდინარეობაზე მონიტორინგი და მკვლევრის ვალდებულება

1. საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს იმ კვლევის მიმდინარეობის მონიტორინგი, რომელზეც გასცა დადებითი დასკვნა.

2. მთავარი მკვლევარი ვალდებულია საბჭოს აცნობოს:

ა) კვლევით პროექტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

ბ) კვლევის პროცესში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომელიც შეეხება კვლევის სუბიექტთა ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და უფლებებს და/ან ნებისმიერი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება განაპირობოს კვლევის განმეორებითი ეთიკური შეფასების საჭიროება.

7. პასუხისმგებლობა დებულების დარღვევისათვის

საბჭოს წევრები და სამეცნიერო კვლევის განმახორციელებელი პირები ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, აღნიშნული დებულება და უნივერსიტეტში მოქმედი წესები.